



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030600811912120

01 / მაისი / 2020 წ.

თბილისი #06-90/თ

**COVID -19-ის ტესტირებისთვის შესაფერისი ბიოლოგიური მასალის ნიმუშის  
აღების, შენახვის და ტრანსპორტირების ინსტრუქციის/წესის დამტკიცების შესახებ**

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილების „დანართი N20 ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების განსხვავებული წესების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის № 184 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/6 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

**1. დამტკიცდეს:**

ა) COVID -19-ის ტესტირებისთვის შესაფერისი ბიოლოგიური მასალის ნიმუშის აღების და შენახვის შესახებ ინსტრუქცია/წესი (დანართი #1);

ბ) COVID-19-ის ტესტირებისთვის შესაფერისი ბიოლოგიური მასალის ნიმუშის ტრანსპორტირების ინსტრუქცია/წესი (დანართი #2).


2. ბრძანება დაეგზავნოს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების განსხვავებული წესების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის № 184 დადგენილების დანართი #1 და ნართი #2-ით განსაზღვრულ დანესებულებებს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალი კორონავირუსის (2019-nCoV) შესაძლო შემთხვევიდან ლაბორატორიული კვლევისათვის საჭირო ნიმუშების აღების შესახებ სამედიცინო დანესებულებებისათვის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურებისათვის დროებითი მეთოდური რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 12 თებერვლის #06-32/თ ბრძანება.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე